



შეფასებისა და გაცემის
ეროვნული ცენტრი



სკოლების მხარდაჭერის პროექტი

NAEC4SCHOOLS

- მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ყველა ძირითად საგანში მე-6; მე-8; მე-9; მე-10 და მე-11 კლასებისათვის;
- წაკითხულის გააზრება (კითხვა) და მათემატიკა (რაოდენობრივი უნარები) მეოთხეკლასელთათვის.
- სკოლების, კლასების და მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევების ჩვენება;
- მიღწევის დონეების დადგენა და სკოლისა და მოსწავლის მიღწევების დადგენილ სტანდარტთან შედარება
- სკოლაზე მორგებული შეფასების პაკეტი.

თქვენ გეძნებათ შესაძლებლობა:

- მეექვსედან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით აირჩიეთ ტესტის ტიპი - მხოლოდ დიაბოლოიანი ან ღია და დახურულობოლოიანი დაგალებებით;
- აირჩიეთ დიაბოლოიანი დაგალებების გასწორების თქვენთვის მისაღები ფორმა.

სწავლა-სწავლების პროცესის მხარდაჭერის პროექტი

სასკოლო მიღწევების გაუმჯობესებისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სკოლაში არსებული ვითარების ადეკვატური შეფასება. მიღწევებისა და პრობლემების შესახებ ე. წ. დიაგნოსტიკური სურათის ფლობა სწავლების პროცესის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქმედითი და კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვაში ეხმარება სკოლებს.

პროექტის მიზანია, მოსწავლეთა მიღწევების ობიექტური და კომპლექსური შეფასების საფუძველზე დაეხმაროს სკოლებს არსებული პრობლემების იდენტიფიკაციაში, მიაწოდოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს (სკოლის დირექტორს, კათედრას, მასწავლებელს) ობიექტური ინფორმაცია არსებული ვითარების შესახებ, რაც შესაძლებელია, ეფექტიანად იქნეს გამოყენებული სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისათვის.

რას ვაფასებთ პროექტის ფარგლებში?

- როგორია მოსწავლეთა მიღწევები ამა თუ იმ საგანში;
- როგორ არის დაძლეული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები სწავლების გარკვეულ საფეხურზე - მოსწავლეთა რა ნაწილი ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაბალ, საშუალო, მაღალ ან უმაღლეს საფეხურებზე;
- მოსწავლეთა რამდენ პროცენტს არ გააჩნია მინიმალური კომპეტენცია კონკრეტულ საგანსა თუ საგანთა ჯგუფში (არადამაყოფილებელი შესრულება);
- როგორია სკოლის, კლასის, ცალკეული მოსწავლის შედეგი, რა სფეროში სჭირდებათ მხარდაჭერა და შედეგების გაუმჯობესება;
- რა პოზიცია უკავია კონკრეტულ სკოლას კვლევაში მონაწილე სკოლებს შორის;
- როგორია კონკრეტული კლასის, მოსწავლის რეიტინგული მაჩვენებელი.

შეფასება კონფიდენციალურია - თითოეული სკოლისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ საკუთარი შედეგები, ხოლო შედარებითი ანალიზისათვის - კვლევაში მონაწილე სკოლების განზოგადებული სტატისტიკური პარამეტრები.

გარკვეული პერიოდულობით ტესტირებაში მონაწილეობა სკოლას პროგრესის შეფასების საშუალებასაც აძლევს!

საზოგადოდ იმას, თუ როგორ და რა მიზნით ვაფასებთ მოსწავლეს, სკოლას ან მთლიანად სისტემას, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ამ სისტემის ფუნქციონირებაზე, რადგან შეფასების ეფექტიანი სისტემა გამოკვეთს არა მხოლოდ სისტემაში არსებულ ხარვეზებს, არამედ მათი გამოსწორების გზებსაც. ჩვენი პროექტის იდეა იყო და არის, სკოლებმა შეფასების შეთავაზებული ინსტრუმენტი გამოიყენონ, როგორც სწავლის პროცესის გაუმჯობესების ინსტრუმენტი. თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ მონაწილე სკოლათა მნიშვნელოვანი ნაწილი მას ასევე იყენებს, როგორც სწავლის შედეგების შემაჯამებელ შეფასებას.



სიახლეები

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ:

ტესტირების ჩატარებას ყველა ძირითად საგანში მე-6; მე-8; მე-9; მე-10 და მე-11 კლასებისათვის (დეტალური ჩამონათვალი იხ. ვებგვერდზე).

ცენტრი წელსაც გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას შეაფასოთ მეოთხეკლასელთა უნარები - წაკითხულის გააზრება (კითხვა) და მათემატიკა (რაოდენობრივი უნარები).

მიღწევის დონეების დადგენას და სკოლისა და მოსწავლის მიღწევების დადგენილ სტანდარტთან შედარებას.

წელს თითოეულ საგანში, კონკრეტული საფეხურისთვის ერთ გარიანტს გთავაზობთ - ერთ გარიანტზე მუშაობისას მოსწავლეთა შედეგების შედარება გაცილებით სანდოა. სკოლას შეუძლია ტესტირების ლოჯისტიკა ამ ფაქტორის გათვალისწინებით ააწყოს.

არაქართულენოვან სკოლებს შარშანდელი გერსიის გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ.

შეთავაზებული მომსახურება

მონაწილე სკოლებს გთავაზობთ მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სამ პაკეტს. სკოლას შეუძლია აირჩიოს თითოეული საგნისთვის რომელიმე ერთი პაკეტი კონკრეტული კლასის მოსწავლეების შესაფასებლად (მაგ., I პაკეტი მე-8 კლასელებისათვის უცხოურ ენაში, II პაკეტი მე-9 კლასელებისათვის უცხოურ ენაში, III პაკეტი მე-10 კლასელებისათვის ქიმიაში და ა. შ.):

I პაკეტი:

შეფასება მყისიერი უკუკავშირით - ასეთი შეფასებისათვის განკუთვნილი ტესტები შედეგება მხოლოდ მოსანიშნი ანუ ე. წ. არჩევითობლიანი დაგალებებისაგან (Multiple Choice) და ტარდება კომპიუტერულად. მოსწავლე საკუთარ შედეგს ტესტირების დასრულებისთანავე იღებს, ხოლო სკოლა - ამომწურავ ინფორმაციას ტესტირებისათვის განკუთვნილი პერიოდის დასასრულს.

II პაპები

შეფასება კომპლექსური უკუკავშირით - შეფასებისათვის ვიყენებთ როგორც არჩევითბოლოიან, ასევე ღიაბოლოიან დავალებებს. ტესტირება ჩატარდება ნაწილობრივ კომპიუტერულად და მოსწავლეები არჩევითბოლოიანი დავალებების შეფასებას მყისიერად, ტესტირების დასრულებისთანავე მიიღებენ. ღია დაბოლოების მქონე დავალებებიც მოსწავლეებს ეკრანზე მიეწოდებათ, პასუხებს კი ისინი პასუხების ფურცელზე დაწერენ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სკოლებს წინასწარ მიაწვდის ღიაბოლოიანი დავალებების შეფასების დეტალურ სქემას. შეფასების ამ სქემის შესაბამისად სკოლის პედაგოგები თავად გაასწორებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს და შედეგებს ამ პროცედურისათვის შექმნილ კომპიუტერულ პროგრამაში შეიტანენ. სკოლა ამომწურავ ინფორმაციას საკუთარი შედეგების შესახებ ტესტირებისათვის განკუთვნილი პერიოდის დასრულებისთანავე მიიღებს.

III პაპები*

გარე შეფასება - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სკოლაში მეთვალყურეს წარგზავნის, რომელიც ტესტირების პროცესის ადმინისტრირებასა და მონიტორინგზე იქნება პასუხისმგებელი. არჩევითბოლოიანი დავალებების შედეგებს მოსწავლე მყისიერად მიიღებს, რაც შეეხება ღიაბოლოიან დავალებებს, მეთვალყურე მოსწავლეებს შესაბამის პასუხების ფურცლებს დაურიგებს, ხოლო შეგსების შემდეგ მათ ცენტრს მიაწვდის. ცენტრის ექსპერტები შეაფასებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და განათავსებენ შედეგებს შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში. დეტალურ ინფორმაციას შედეგების შესახებ სკოლა პროცესის დასრულებისთანავე მიიღებს.

**მესამე პაპების არჩევის შემთხვევაში მსურველი სკოლა პროექტის მენეჯერს უნდა დაუკავშირდეს (იხ. საკონტაქტო ინფორმაცია), იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პაპები, სპეციფიკიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა მოერგოს სკოლის სურვილებსა და საჭიროებებს ტექნიკური და ლოგისტიკური თვალსაზრისითაც. ამის გათვალისწინებით რეგისტრაციისას პირველი და მეორე პაპების არჩევა ხდება, მესამე პაპებზე კი სრულ კონსულტაციას ჩვენი წარმომადგენლისგან მიიღებთ.*

ტესტირებისას ღიაბოლოიანი დავალებების გამოყენება საშუალებას გვაძლევს უფრო ეფექტიანად შევაფასოთ მოსწავლის მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის უნარები, ასევე შევაფასოთ წერითი მეტყველების უნარი.

რა ინფორმაციას მიიღებენ შეფასებაში მონაწილე სკოლები?

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ კონკრეტული სკოლის შედეგები კონფიდენციალურია და ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი სკოლისათვის.

- სკოლები მიიღებენ უკვე დამუშავებულ ინფორმაციას სკოლის, კლასისა და ცალკეული მოსწავლის მიღწევების შესახებ.
- მიწოდებული ინფორმაცია საშუალებას მისცემს მათ დაინახონ საკუთარი საგანმანათლებლო საქმიანობის მკაფიო სურათი - რა შედეგს აჩვენებს სკოლა, როგორია მოსწავლეთა მიღწევები ამა თუ იმ საგანსა თუ კლასში და სხვ.
- ამასთან, სკოლას საშუალება ექნება დამატებით გააანალიზოს ეს შედეგები სწავლების დამკვიდრებული პრაქტიკისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების (სასკოლო რესურსი, სწავლების სტრატეგიები) კონტექსტში.

ამ პროექტის ფარგლებში ჩვენი ამოცანა მოსწავლეთა მიღწევების იმგვარი აღწერაა, რომ მკაფიო გახდეს, **რამდენად აკმაყოფილებენ მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და რა დონეზე ფლობენ კლასის/საფეხურის შესაბამის საგნობრივ ცოდნასა და უნარებს.**

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ **მიღწევის დონეების** განსაზღვრას.

მოსწავლეთა მიღწევების ანალიზისათვის გამოყენებული იქნება **სტანდარტების დადგენის პროცედურა**. ეს პროცედურა, რომელშიც პრაქტიკოსი პედაგოგები, სკოლის დირექტორები და სხვა ექსპერტები მონაწილეობენ, საშუალებას გვაძლევს, **მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მიღწევების ესა თუ ის დონე** ანუ დავადგინოთ ის ქულა (ქულები), რომელიც მიუთითებს, სად სრულდება მიღწევის ერთი საფეხური (მაგ.: მიღწევის საშუალო საფეხური) და იწყება მეორე (მაგ.: მიღწევის მაღალი საფეხური). ამ პროცედურას ტესტირებამდე ვატარებთ და, შესაბამისად, **სკოლებისათვის ხელმისაწვდომი ხდება შემდეგი სახის ინფორმაცია:**

- ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა რა ნაწილმა დაძლია მიღწევის დაბალი, საშუალო, მაღალი და უმაღლესი საფეხურები კონკრეტულ საგანში;
- მოსწავლეთა რა პროცენტმა ვერ გამოავლინა მინიმალური კომპეტენციაც კი მიღწევის დაბალი საფეხურისათვის განკუთვნილი დავალებების შესრულებისას;
- მიღწევის რა საფეხური დაძლია კონკრეტულმა მოსწავლემ კონკრეტულ საგანში.

უკუკავშირის ნიმუში:

- **საუკეთესო შესრულება:** სკოლის მოსწავლეთა 1.9% წარმატებით ძლევს მიღწევის უმაღლესი საფეხურის დავალებებს და, შესაბამისად, ავლენს მათემატიკაში განაფულობისა და საბაზო საფეხურის (მე-9 კლასი) შესაბამისი ცოდნისა და უნარების უმაღლეს დონეს. მათ შეუძლიათ რთული, არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნა, კომპლექსური ინფორმაციის ანალიზი, მსჯელობა, დასკვნების გამოტანა და განზოგადება.
- **კარგი შესრულება:** მოსწავლეთა 7.6% წარმატებით ძლევს მიღწევის მაღალი საფეხურის დავალებებს და, შესაბამისად, ავლენს საბაზო საფეხურის (მე-9 კლასი) შესაბამისი ცოდნისა და უნარების მაღალ დონეს (კარგი შესრულება); აქვთ საგნობრივი ცოდნა, შეუძლიათ ამ ცოდნის ეფექტიანი გამოყენება რეალურ, სტანდარტულ სიტუაციაში; ფლობენ ანალიტიკურ უნარებს და შეუძლიათ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის სინთეზი ამოცანის ამოსახსნელად.
- **საშუალო შესრულება:** მოსწავლეთა 29.5% წარმატებით ძლევს მიღწევის საშუალო საფეხურის დავალებებს, რაც მიუთითებს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ნაწილობრივ ფლობაზე. მათ შეუძლიათ ელემენტარული მათემატიკური ცოდნის გამოყენება სხვადასხვა მარტივ სიტუაციაში (დამაკმაყოფილებელი შესრულება).
- **დამაკმაყოფილებელი შესრულება:** მოსწავლეთა 31% ძლევს მიღწევის დაბალი საფეხურის დავალებებს და, შესაბამისად, გააჩნია მინიმალური საბაზო ცოდნა **მათემატიკაში (მინიმალური შესრულება).**
- **არადამაკმაყოფილებელი შესრულება:** სკოლაში გამოიკვეთა მოსწავლეთა 30.3% ე. წ. კრიტიკული ნაწილი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევის მინიმალურ დონეზეც ვერ ახერხებს - ვერ ძლევენ მიღწევის დაბალი საფეხურისათვის განსაზღვრულ უმარტივეს დავალებებსაც კი.

მიღწევის საფეხურების მიხედვით მონაცემები მომზადდება სკოლისა და კლასის დონეზე; ასევე თითოეული მოსწავლისათვის; მაგალითად:

ნიმუში: მოსწავლის სახელი, გვარი

- მათემატიკა - უმაღლესი საფეხური;
- ფიზიკა - მაღალი საფეხური;
- ისტორია - დაბალი საფეხური;
- ინგლისური - მაღალი საფეხური და ა. შ.

რეიტინგული მაჩვენებლები:

მონაწილე სკოლა ასევე მიიღებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- სკოლის შედეგები თითოეულ საგანში - სკოლის რეიტინგული პოზიცია (პროცენტილი) პროექტში მონაწილე ყველა სკოლას შორის; კონკრეტული კლასის რეიტინგი.
- თითოეული მოსწავლის შედეგი შესაბამის საგანში და ამ მოსწავლის რეიტინგული პოზიცია (პროცენტილი) პროექტში მონაწილე ყველა მოსწავლეს შორის.

ტესტირების ადმინისტრირება:

ტესტირება კომპიუტერული წესით ჩატარდება ივნისის პირველ დეკადაში. სკოლას შესაძლებლობა ექნება თავად გადაწყვიტოს კონკრეტული ტესტირების ჩატარების ზუსტი თარიღი და დრო პროექტის მიმდინარეობის პერიოდში.

ტესტირებაში მონაწილეობის საფასური:

ქართულენოვანი ტესტირება:

I პაკეტი - 1 მოსწავლის მონაწილეობა ერთი საგნის ტესტირებაში 2,5 ლარი;*

II პაკეტი - 1 მოსწავლის მონაწილეობა ერთი საგნის ტესტირებაში 3,5 ლარი;*

**150-ზე მეტი მონაწილის შემთხვევაში გათვალისწინებულია 5%-იანი ფასდაკლება, 300-ზე მეტი მონაწილის შემთხვევაში - 10%-იანი ფასდაკლება;*

III პაკეტი - მსურველი სკოლა დეტალურ ინფორმაციას მიიღებს პროექტის კოორდინატორისგან (იხ. საკონტაქტო ინფორმაცია).

წელს გამოყენებული იქნება არაქართულენოვანი ტესტების შარშანდელი (2017 წლის) ვერსიები:

I პაკეტი - 1 მოსწავლის მონაწილეობა ერთი საგნის ტესტირებაში 2 ლარი;

II პაკეტი - 1 მოსწავლის მონაწილეობა ერთი საგნის ტესტირებაში 3 ლარი;

ტესტირებისათვის რეგისტრაცია დაიწყება 27 აპრილს. რეგისტრაციისათვის ეწვიეთ ვებგვერდებს:

WWW.NAEC.GOV.GE ONLINE.NAEC.GE

ტესტირებაში სკოლების მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

პროექტში ჩართვის მსურველები დაგვიკავშირდით:

99532 2473333; 595741777 ნათია მარსაგიშვილი - პროექტის კოორდინატორი

მოგწერეთ: naec4schools@naec.ge

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მზადაა, ტესტირებაში მონაწილეობის მსურველ ყველა სკოლას გაუწიოს კონსულტაცია და მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია პროცედურული თუ შინაარსობრივი საკითხების შესახებ.

დეტალურ ინფორმაციას პროექტის თაობაზე, ასევე სასწავლო პროცესის შეფასების მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ გაეცნობით ვებგვერდზე

WWW.NAEC.GOV.GE